KA021745707216520

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-2323 09 / ივლისი / 2020 წ.

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ იწაში მდებარე 18547 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 ივლისის N1/1-2315 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. შევიდეს ცვლილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ იწაში მდებარე 18547 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 ივლისის N1/1-2315 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ იწაში მდებარე 18547 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ((უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდები N86.04.25.138) იჯარის უფლებით გადაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 წლის ვადით.

2. ასევე შევიდეს ცვლილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ იწაში მდებარე 18547 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარის უფლებით გადაცემის შესახებ“ სსიპ

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 ივლისის N1/1-2315 ბრძანების საინფორმაციო საშუალებაში არსებული გრაფა ,,სარგებლობაში გაცემის ვადა" ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

3. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7), ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსი	ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად	ზურაბ წიქვაძე